

ხელოვნება „წინასწარმეტყველებს“

ლია ბაგრატიონის გამოფენა „ვარდნის საშიშროება“

ანა კლდიაშვილი

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ხელოვნება, ობიექტი, ინტერტექსტუალობა, ციტაცია, ლია ბაგრატიონი, დომენიკო ნიოლი, დონალდ ჯადი

მოსხენებაში განხილულია თანამედროვე ქართველი არტისტის ლია ბაგრატიონის გამოფენა „ვარდნის საშიშროება“, რომელიც 2021 წლის დეკემბერში თბილისში გაიმართა. გამოფენის კონცეფცია ე.წ. რბილი ქანდაკების პრინციპს ეფუძნება.

ლია ბაგრატიონის ეს ექსპოზიცია ავლენს პოსტმოდერნიზმის ნიშანდობლივ ტენდენციას – ინტერტექსტუალობას. აქ ჩვენ ვხვდებით ციტატებს სხვა ხელოვანთა (დომენიკო ნიოლის, დონალდ ჯადის, ასევე თავად ლ. ბაგრატიონის) შემოქმედებიდან. არტისტი მეტატექსტუალობის ჭრილში აქცევს მათ ნამუშევრებს, ცვლის ცალკეულ დეტალებს და საკუთარი კონცეფციის პრიზმაში ატარებს მათ. შედეგად, მის ექსპოზიციაში ეს რეპლიკები წარმოდგინდება, როგორც კრიტიკული კომენტარი წინარეტექსტზე (დედანზე).

ლ. ბაგრატიონი თავად მასალას „ამეტყველებს“ და მის სირბილეს გამოფენის კონცეფციის/საზრისის საფუძვლად აქცევს. ერთი შეხედვით, სრულიად რეალურად წარმოდგენილ რუხი ფერის პარალონისაგან დამზადებულ საყოფაცხოვრებო ნივთებს (სკამები, მაგიდა, სავარძელი, კიბე და სხვ.) დაკარგული აქვს ფუნქცია. მასალის სირბილის გამო, ისინი მნახველში არამდგრადობის, აბსურდულობის, მერყეობის და, შესაბამისად, ვარდნის განცდას ბადებს. ეს თანამედროვე ადამიანის არასტაბილური ყოფის ერთგვარი მეტაფორაა, ყოფისა, რომელშიც აღარ დარჩა მყარი ინსტიტუციური თუ მორალურ-ზნეობრივი საყრდენები არც ერთ სფეროში: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ ყოფითში. თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული ე.წ. „მოქნილობა“, რომლის მეტაფორაცაა ეს პარალონის ობიექტები, პირველ რიგში, იმ ღირებულებათა დევალვაციაზე მიგვანიშნებს, რომლებიც პოსტმოდერნისტული პლურალიზმის სირბილემ და მოქნილობამ და ამ გზით «სხვადასხვა პატარ-პატარა სიმართლეებისა და ჭეშმარიტებების» დამკვიდრებამ ჩაყლაპა. თუმცა აქ მაინც შეიძლება სიმყარის პოვნა: თიხის ორი პატარა ბურთულა და თიხისპანო. ამ ექსპოზიციაში, რომელიც თანამედროვე სამყაროს შფოთიან და არამდგრად სიტუაციას წარმოაჩენს და კრიზისის კონსტატაციას ახდენს, არსებული თიხის ეს „კუნძულები“ თითქოს წინასწარმეტყველებენ კაცობრიობის მესხიერების გაცოცხლებას. აკი გავახსენა კიდევ უკრაინის ომმა ერთი მარტივი, ამჟამად დავიწყებული და ოდესღაც სალი კლდესავით მყარი ჭეშმარიტება: თურმე მომხდური მტრისაგან სამშობლოს დაცვა ღალატი არ ყოფილა, სულაც პირიქით.

კონფერენციის პრიორიტეტულმა თემამ – „კულტურა და გლობალური გამოწვევები“ – განსაზღვრა ჩემი მოხსენების თემის არჩევანი. ეს გახლავთ 2021 წლის დეკემბერში არტ არეას საგამოფენო დარბაზში მოწყობილი ლია ბაგრატიონის გამოფენა „ვარდნის საშიშროება“, რომელიც, ვფიქრობთ, რომ სწორედ თანამედროვე სამყაროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს ეხმაურება

და უფრო მეტიც, ესაა კრიტიკული რეფლექსია ჩვენს რეალობაზე, რომელიც თანამედროვეობის კრიზისზე მიუთითებს.

გამოფენაზე მისული მნახველი ხვდებოდა თეთრ საგამოფენო სივრცეში, სადაც წარმოდგენილი იყო მუქი რუხი ფერის ობიექტები, საგნები, რომლებსაც ჩვენ, ადამიანები, ყოფაში ვიყენებთ: მაგიდა, სკამები, ჭალი, კიბე, სავარძელი, კარი, თაროები და სხვ.

ტყვიისფერი ობიექტები, თავისი უკიდურესად სადა და ლაკონიური, კუთხოვანი, ხისტი ფორმებითა და ერთგვაროვანი ფერით, მინიმალისტურ ესთეტიკურ გარემოს ქმნიდა. თეთრი ქათქათა კედლების ფონზე წარმოდგენილი, რუხ ობიექტებს შორის დატოვებული გარკვეული ინტერვალები, თავისუფალი არეები, ერთგვარი სივრცობრივი პაუზები, თითოეული მათგანის კარგად აღქმის საშუალებას იძლეოდა და მათ მნიშვნელოვანებას უსვამდა ხაზს, თითქოს ავტორი ჩვენ თვალწინ „აზუმებდა“ ჩვენსავე ყოფას. ეს კი მნახველს იმთავითვე მიანიშნებდა, რომ ეს საგანგებოდ ხაზგასმული სისადავე და ყოფითი ნივთების პრეზენტაცია საგამოფენო სივრცეში კონკრეტულ კონცეფციას ექვემდებარებოდა.

ერთი შეხედვით თითქოს აქ არაფერი იყო განსაკუთრებული, მაგრამ ობიექტებთან მიახლოების შემდეგ მნახველი ხედავდა, რომ კიბე გაღუნულია და მასზე ვერ ავა; კარი დაბრეცილია, ყრუ კედელზეა ჩამოკიდებული და მას არსად მივყავართ; მაგიდის ბედაპირი ტალღოვანია და მასზე ვერაფერს დავდებთ. საგნების სირბილით შექმნილი ეს პირველი შეგრძნება საბოლოოდ ფორმდებოდა მაშინ, როდესაც მნახველი აცნობიერებდა, რომ ავეჯი თუ სხვა საგნები რბილი პარალონისაგან იყო დამზადებული და საკმარისი იყო რომელიმე მათგანს თითოთ მსუბუქად შეხებოდი, რომ ის ქანაობას იწყებდა. ბოლოს კი მნახველი აცნობიერებდა, რომ თუ სავარძელზე, ტახტზე ან სკამზე დაჯდებოდა, იგი აუცილებლად აიტაკბე აღმოჩნდებოდა ანუ მნახველი წამსვე იაზრებდა ვარდნის საშიშროებას და მისი ეს შეგრძნება სრულ რეზონანსში მოდიოდა გამოფენის სათაურთან. ამის შემდგომ კი, ალბათ, ნებისმიერ ადამიანს შეკითხვები უჩნდებოდა: რისი თქმა უნდა ავტორს ამით? რა არის ამ ობიექტებისა და მთელი გამოფენის საზრისი?

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემამდე ერთ საინტერესო საკითხზე უნდა შევჩერდეთ. ამ ექსპოზიციაში ჩვენ ვხვდებით ციტატებს სხვა ხელოვანთა შემოქმედებიდან. ესენია რეპლიკები იტალიელი მხატვრის დომენიკო ნიოლის, ასევე მინიმალისტური დონალდ ჯადის ნამუშევრებზე და თავად ლია ბაგრატიონის ადრეული კერამიკული სერიის „გამქრალი ქალაქების ანარეკლის“ თემაზე. ამ ობიექტებით ლია ბაგრატიონი

ინტერტექსტუალურ სივრცეს ქმნის. როგორც როლან ბარტი ამბობს, „ყოველი ტექსტი ინტერტექსტს წარმოადგენს; სხვა ტექსტები მასში სხვადასხვა დონეზე და ნაკლებად საცნაური ფორმებით მყოფობს: ესენია წინამორბედი კულტურის ტექსტები ანდა ის ტექსტები, რომლის წიაღშიცაა თავად ავტორი“.¹ ამ თვალსაზრისით ლია ბაგრატიონის ეს ექსპოზიცია ორგანულად ავლენს პოსტმოდერნიზმის ამ ნიშანდობლივ ტენდენციას, თუმცა აქ ყველაზე საინტერესო ისაა, როგორი ტიპისაა ლია ბაგრატიონისეული ინტერტექსტუალობა, როგორ ხდება მის მიერ ციტატებად მოხმობილი ნამუშევრების ინტერპრეტაცია და ექსპოზიციის კონტექსტში, მის ქსოვილში ჩართვა.

საქმე ისაა, რომ ლია ბაგრატიონი ამ ნამუშევრებს პასიურად კი არ იხმობს, ისინი არტისტისეული კონცეფციის პრიზმაშია გატარებული და ზოგ შემთხვევაში საკუთარი საზრისის საპირისპირო კონტექსტშია ჩართული. მაგ., დონალდ ჯადის „უსათაუროს“ შემთხვევაში, ლია ბაგრატიონი მინიმალიზმის ორ კონცეპტუალურ პრინციპს უპირისპირდება. თავად ჯადის კონსტრუქცია არ ბადებს რომელიმე საგნის ალუზიას, ავტორი მაყურებელს სთავაზობს სუფთა ფორმას, ე.წ. წმინდა ვიზუალურ ფაქტს, დაცლილს ყოველგვარი შინაარსისა და საზრისისაგან. ესაა ფორმა, როგორც ასეთი, რომელიც გემოქმედებს მხოლოდ ადამიანის შეგრძნებებზე. რას აკეთებს ლია ბაგრატიონი? იგი ჯადის ფორმაზე დებს ერთ პატარა თიხის ბურთულას და ეს წმინდა ფორმა ჩვენ თვალწინ წამსვე თაროდ ტრანსფორმირდება ანუ კონკრეტულ ფუნქციას იძენს. გარდა ამისა, მინიმალიზმისათვის დამახასიათებელი კრისტალურად ნათელი, მკაფიო ფორმის წარმოდგენაში დიდ როლს ასრულებს მასალა; ჯადის შემთხვევაში ესაა მყარი სუბსტანციები: ალუმინი და მინა, რომელსაც ლ. ბაგრატიონი ცვლის რბილი და არამდგრადი პარალონით. ეს კი ფორმებს ჯადისეულ მკაფიოობასა და სიზუსტეს, ე.წ. წმინდა ფორმობას უკარგავს, სრულიად ცვლის ჯადის ფორმის საზრისს და ჩვენ თვალწინ ჯადის შინაარსისაგან დაცლილი წმინდა ფორმა მოწყვლად ყოფით საგნად – თაროდ – იქცევა, ოღონდ ამ საგანსაც დაკარგული აქვს ფუნქცია მასალის სირბილის გამო. ამგვარად, მინიმალიზმისათვის დამახასიათებელი ეს თვისება – ხელოვ-

1 Barthes, Texte, 1973, გვ. 78.

ნების ნაწარმოებში ინტენციის არარსებობა – ლია ბაგრატიონთან სრულიად უგულვებელყოფილია და განსხვავებულ კონტექსტშია მოქცეული. რბილი მასალით შესრულებული დონალდ ჯადის ფორმა ახალ შინაარსს იძენს, განსხვავებულ ნარატივში ექცევა და სრულიად იცვლის საზრისს. ფორმა კარგავს ფუნქციას არა იმიტომ, რომ ავტორს მისი წმინდა ფორმად წარმოჩენა აინტერესებს, არამედ იმიტომ, რომ ის მასალის გამო ვერ ასრულებს საკუთარ ფუნქციას.

რა ხდება დომენიკო ნიოლის ნამუშევრის რეპლიკის შემთხვევაში? ლია ბაგრატიონი იმეორებს ამ იტალიელი ფერმწერის ტილოზე ასახულ ერთ-ერთ მოტივს: წითელი პერანგის საყელოს. თუ თვალს გადავავლებთ დომენიკო ნიოლის შემოქმედებას, ცხადი გახდება, თუ რატომ ირჩევს ქართველი არტისტი მის ნამუშევრებს. დომენიკო ნიოლი, შეიძლება ითქვას, „ყოფის მხატვარია“, ოღონდ ეს ყოფა მეტად თავისებურია. ნიოლი ყოფითი დეტალების ახლო ხედით წარმოჩენის დიდოსტატია და მის მიერ აღწერილი ყოფა მხოლოდ საგანთა დეტალებისაგან შედგება. ნიოლის ჰიპერრეალისტური დეტალები ახლო კადრით მოაქვს მნახველთან, ისინი ძალზე მასშტაბურია, ფოკუსირებულია და ერთგვარად ფოტოგრაფიულადაა კადრირებული. „მე არასდროს ვისწრაფოდი დეფორმაციისაკენ... ჩემი თემები მომდინარეობს ჩემ გარშემო არსებული სამყაროდან, ნაცნობი სიტუაციებიდან, ყოველდღიური ცხოვრებიდან, რადგან მე არასდროს გამოვდივარ ობიექტის წინააღმდეგ, მე მხოლოდ მათ ჯადოსნურ თანამყოფობას განვიცდი“ – ამბობდა მხატვარი.²

მის სურათებში ვხვდებით თხრობითობას მოკლებულ რეალიზმს, ნიოლი თითქოს გამადიდებელი შუშის ქვეშ ხატავს ამ საგნებს, მათ სახასიათო დეტალებს, ფაქტურასა თუ ტექსტურას მათ იმანენტურ გამოვლინებაში. იგი ეძიებს მათში მიწიერს, პროზაულს. ეს „კვამისაგნებია“, რომელთა დეტალების განსაკუთრებულად გადიდება ხაზს უსვამს მათ რეალურობას,

მათ ონტოლოგიურ ბუნებას, მაგრამ, ამავე დროს, ერთგვარ სიმულაკრებადაც აღიქმება.³

დომენიკო ნიოლი მანიპულირებს დეტალებით, თითქოს ლუბის ქვეშ აკვირდება მათ, დეტალურად ამოხატავს ორნამენტულ სახეებს, ზედმიწევნით წარმოაჩენს სხვადასხვა ქსოვილის ფაქტურას. ავტორი თითქოს ერთობა ამ ყოველივეთი, რაც შორეულად კვატროჩენტისტების დეტალებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოგვავიწყებს, თუმცა ნიოლისთან არ არის იტალიელი კვატროჩენტისტებისათვის, ან ჩრდილოეთის რენესანსის ოსტატებისათვის დამახასიათებელი დეტალებით ტკობა, მათი კვლევა, შესწავლა; აქ თითქოს მხოლოდ ამ დეტალების გულგრილი ფიქსაცია და მათი ფორმებითა და ფაქტურებით გართობა-მანიპულირება და დეტალის გაფეტიშებაა. ნიოლის შემოქმედებას ხშირად პოპარტსა და მინიმალიზმსაც უკავშირებენ, თუმცა მისი ეს თეტიკა რადიკალურად განსხვავდება ორივესაგან.⁴ ნიოლი, შესაძლოა, თავის თანამედროვე პოპარტისტთა მსგავსად, ასახავს ყოველდღიური მოხმარების საგნებს, როგორც ბანალურობის გამოვლინებას, მაგრამ ნიოლის შემოქმედება პოპარტისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არ იყენებს მხატვრობას კულტურული და სოციალური კომენტარისათვის.⁵ იგი კონცენტრირებულია ყოფით ობიექტზე, როგორც ასეთზე, მის ონტოლოგიურ, მატერიალურ სტატუსზე და ამით არაფერზე არ მიგვითითებს, მის სამყაროში საგნები მხოლოდ არსებობენ. ნიოლი, პოპარტისტებისაგან განსხვავებით, არც მექანიცისტური ეპოქის პირშემა, მას არ აინტერესებს გამოსახულების გამრავლება და ამ მხრივ მისი ნამუშევრები ტრადიციული ფერწერის ხაზს აგრძელებს.⁶

როგორც ვხედავთ, ლია ბაგრატიონსაც, დომენიკო ნიოლის მსგავსად, ყოფითი საგნები სახელოვნებო სივრცეში შემოაქვს და მათ ობიექტებად აქცევს. ამდენად, ნიოლის ნამუშევრის ციტატად მოხმობა ქართველი არტისტის მიერ, თემატური თვალსაზრი-

2 Bew, Sumptuous, AnOther, 2022.

3 Alemani, Detail, 2018.

4 ნიოლის ნამუშევრებს, პოპარტის გარდა, ხშირად აკავშირებდნენ ჰიპერრეალიზმთან, სიურრეალიზმთან, მინიმალიზმსა თუ აბსტრაქციასთან, მაგრამ რეალურად მისი შემოქმედება არც ერთ ამ მიმდინარეობაში არ ჯდება. იხ.: Harper, The Peculiar, 2022.

5 Alemani, დასახ. ნაშრ.

6 Harper, The Peculiar, 2022.

სით, სრულიად გამართლებულია, თუმცა, არის არსებითი სხვაობაც. ნიოლი აქცენტს აკეთებს დეტალების დეტალებზე, ცალკეულ დახვეწილ ელემენტებზე, მაგ., როგორებიცაა საყელოს ამოგვირისტებული კბილანები და პატარა ამოქარგული რომბები, რომლებიც ორნამენტებად აღიქმება და ერთგვარ დახვეწილობას ანიჭებს საყელოს, ფუფუნების საგნად აქცევს მას. ასევე ნიოლი აქცენტს აკეთებს ფაქტურაზეც. ღია ბაგრატიონი სრულ იგნორირებას უკეთებს ამ დეტალებს და მხოლოდ ნიოლის საყელოს ზოგად ფორმას იმეორებს, ისიც არაზუსტად. გარდა ამისა, ქართველი არტისტი ცვლის მასალას და ფერწერის მაგივრად ნიოლის მოტივს აქტიური წითელი პარალონით ახორციელებს. შესაბამისად, მასალის ცვლილება იწვევს მთლიანი ფორმის გაუხეშებას, რის შედეგადაც, ნიოლის მსგავსად, დეტალებით და მათი დახვეწილობით გართობა შეუძლებელი ხდება. ნიოლის მიერ დენადი, რბილი ფორმებითა და ჩამქრალი წითლით აღწერილი ყოფის დეტალი, რომელზეც ამოქარგული მბზინავი რომბები მოხდენილი დეკორის ფუნქციას ასრულებს, ღია ბაგრატიონთან მკაცრ, ხისტ, წვეტიან, სრულიად სადა, დეკორსმოკლებულ ფორმად იქცევა, აბსტრაქციისაკენ იხრება და ნიოლის ნამუშევრიდან რჩება მხოლოდ „შიშველი“ წვეტებიანი საყელო და წითელი ფერი, რომელიც საკმაოდ დრამატულად ჟღერს ნეიტრალურ რუხ-თეთრ გარემოში. ამგვარად, ლ. ბაგრატიონი ნიოლის ციტირებისას, ისე, როგორც ჯადის შემთხვევაში, ცვლის დედნის საზრისს, უფრო მეტიც, სრულიად საპირისპირო ესთეტიკას და, შესაბამისად, მნიშვნელობას ანიჭებს მას. ლ. ბაგრატიონის რეპლიკა კარგავს ყოფითობას და მასალისა თუ წითლის ტონის ცვლილებათა გამო, ნიოლისეული მანიპულირებისა და გართობის სფეროდან ახალ საზრისობრივ ველში, კრიტიკის ველში ინაცვლებს. ნიოლისეული „გულ-გრილი მშვიდი ონტოლოგია“ ლ. ბაგრატიონთან „ექსპრესიულ ღირებულებით ონტოლოგიად“ ტრანსფორმირდება. ეს ერთგვარი კრიტიკული კომენტარია სხვა ნამუშევრებზე და სულაც არაა გასაკვირი, რომ ლ. ბაგრატიონი ამ ნამუშევრებს სწორედ ასე ასათაურებს – „კომენტარი დომენიკო ნიოლის ნამუშევარზე“, „კომენტარი დონალდ ჯადის ნამუშევარზე „უსათაურო“.

რაც შეეხება თავად არტისტის მიერ საკუთარი ნამუშევრის ციტატის მოხმობას ამ ექსპოზიციაში. ღია ბაგრატიონი იყენებს ერთ-ერთ ფორმას 2008 წელს შექმნილი საკუთარი სერიიდან „გამქრალ ქალაქთა ანარეკლი“ და მას მაგიდის თავზე ჭაღის სახით კიდებს. თავად ეს თიხით შექმნილი სერია, რომელიც ომის შედეგად დანგრეულ, მიტოვებულ გამქრალ ქალაქებს ასახავს, არაჩვეულებრივად წარმოაჩენს ომის უბედურებას და დრამატული ჟღერადობით გამოირჩევა. (სერია რომ 2008 წელსაა შესრულებული, რაც რუსეთის აგრესიასა და განადგურებულ ქართულ დასახლებებზე უნდა მიგვანიშნებდეს). სწორედ ამ სერიიდან აღებულ ფორმას ციტირებს არტისტი პარალონით და დანგრეული და გამქრალი ქალაქის ხსოვნა ყოფით სივრცეში შემოაქვს. გადამწვარი ქალაქი აქ სამომხმარებლო საგნად – ჭაღად – ქცეულა; თანაც პარალონის ჭაღად, რომელიც, ვერასდროს გაანათებს ოთახს. ავტორი გულისხმობს, რომ ნანგრევსაც კი დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ტრანსფორმირებულა ერთგვარ დეკორად, რომელიც დამოკლეს მახვილივით კიდია ჩვენს თავზე, ჩვენს ყოფაზე, თუმცა ეს დამოკლეს მახვილივით რამდენად ბასრია, არავინ იცის. მისი მახვილობაც, ტყვიისფრის მიუხედავად, ილუმორულია, რადგან ის რბილი და მსუბუქი მასალისგანაა შექმნილი. როგორც ვხედავთ, ამ დრამას, რომელიც დღესაც ღია ტრილობაა მრავალი ადამიანისათვის, თითქოს დაუკარგავს სიმძაფრე და ჰაერში უფუნქციოდ კიდია.

როგორც ვხედავთ, ინტერტექსტუალობა ამ ექსპოზიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ერთგვარ საზრისობრივ ველს ქმნის. ამგვარი „ველები“ კარგად აქვს აღწერილი ფრანგ ლიტერატურის თეორეტიკოს ჟერარ შენეტს თავის „ტრანსტექსტუალობის“ კონცეფციაში. მას „ტრანსტექსტუალობა“ „ინტერტექსტუალობაზე“ მეტად ყოვლისმომცველ ტერმინად მიაჩნია. ტრანსტექსტუალობა გულისხმობს ტექსტური ტრანსცენდენციის კატეგორიზაციას, რომელიც არად დაგიდევს ჟანრებს, ცვლის და აფართოებს სხვისი შინაარსის მიხედვით შექმნილ ტექსტს. ფრანგმა მკვლევარმა ჟერარ შენეტმა ტრანსტექსტუალობის ხუთი ძირითადი ფორმა გამოყო.⁷ მათ შორის ერთ-ერთია ე.წ. მეტატექსტუალობა, რომელიც

7 ჟ. შენეტის მიერ გამოყოფილი ინტერტექსტუალობის ხუთი ფორმა: 1. ინტერტექსტუალობა, როგორც ერთ ტექ-

გაიაზრება, როგორც კომენტარი და ხშირად კრიტიკული მითითება წინარეტექსტზე (დედანზე). ინტერტექსტუალობის წორედ ამ ფორმას ირჩევს ლია ბაგრატიონი. როგორც დავინახეთ, იგი ნიოლის ციტირებისას იმგვარად ცვლის დედნის მასალას, ფერს, დენად ფორმებს, რომ სრულიად სხვა ტიპის მხატვრულ სახეს ვიღებთ. ამ სახის მძაფრი ექსპრესიული და დრამატული ემოცია თითქოს ერთგვარი რეფლექსიაა, კრიტიკული კომენტარია ნიოლის მიერ ნივთების დეტალების ფორმებითა და ფაქტურებით მშვიდსა და გულგრილ მანიპულაციაზე. დ. ჯადის შემთხვევაში ლ. ბაგრატიონი ზუსტად იმეორებს რა დედნის ფორმას, მკვეთრად უპირისპირდება მინიმალიზმის ე.წ. წმინდა ფორმას და მას საგნად აქცევს, რითიც, მიუხედავად თავად მთელი ექსპოზიციის მინიმალისტური ესთეტიკისა, კრიტიკულ ველში ატარებს მინიმალიზმისათვის დამახასიათებელ ემპირიკისაგან „გაქცევას“. კრიტიკულ ჟღერადობას იძენს ლია ბაგრატიონის საკუთარი ნამუშევრის ციტატაც, როდესაც ჩვენ თვალწინ განადგურებული ქალაქის სახეხატი დავიწყებას მიეცემა და ყოფით დეკორატიულ ნივთად იქცევა.

„ვარდნის საშიშროების“ კონცეფციაში, რომელიც ლ. ბაგრატიონთან ერთად, გამოფენის კურატორ თამთა შავგულიძის მიერაა შემუშავებული, წამოჭრილია „რბილი ქანდაკების“ საკითხი და დასმულია რამდენიმე შეკითხვა, მათ შორის: „რას ნიშნავს სკულპტურული ფორმა თანამედროვე ხელოვნებაში და როგორი შინაარსების გააზრების რესურსს იძლევა არაკონვენციური ქანდაკება?“ მისი თქმით, რბილი ქანდაკება – ნებისმიერი გამძლე, მაგრამ არამყარი მასალისგან შექმნილი ობიექტი, რომელსაც თავისი რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს დასავლეთში, ჩვენში სპორადულად იქმნებოდა... ე.წ. რბილი ქანდაკების მაგალითი თავად ლია ბაგრატიონის შემოქმედებაშიც გვხვდება. 2019 წელს ქარვასლაში გამართულ გამოფენაზე (სახელწოდებით „შეშლილი ჩაის სმა“), ერთ-ერთ დარბაზში წარმოდგენილი იყო ქალების უზარმაზარი ფიგურები თავების გარეშე.⁸

მათგან მიღებული პირველი შთაბეჭდილება იყო მონუმენტურობის განცდა, მაგრამ შემდეგ, დაკვირვებისას, მნახველი აღმოაჩენდა, რომ ეს მონუმენტურობა სრულიად ილუზორული იყო, რადგან ქალების ფიგურებს ქმნიდა მათი ტილოს კაბები. ქსოვილის სპილოს ძვლისა თუ მარმარილოს ფერი და თავად ფიგურების დიდი ზომა, ერთგვარად ატყუებდა მნახველის თვალს და ერთი შეხედვით ქმნიდა ფორმის სიმყარის განცდას, მაგრამ კაბების ქსოვილისავე სირბილე თითქოს იქვე ამხელდა ამ „ტყუილს“. ადამიანს უჩნდებოდა განცდა, რომ მონუმენტური კოლონები, რომლებიც ჩვენს ცნობიერებაში, საზოგადოდ, სიმყარესთან და დაცულობასთან ასოცირდება, ჩვენ თვალწინ ფუტურო ფორმად იქცეოდა. ლ. ბაგრატიონმა სწორედ იმ გამოფენაზე დაგვანახა ადამიანთა სამყაროს ილუზორულობა, გვიჩვენა, რომ ის, რაც მყარი გვეჩვენება და ერთი შეხედვით, მდგრად კოლონებად წარმოგვიდგება: ჩვენი ღირებულებები, კონსტიტუციები, ინსტიტუციები, დაწერილი თუ დაუწერიელი მორალურ-ზნეობრივი კანონები, მაგრამ სინამდვილეში სრული ილუზიაა.

ჩვენ მიერ განსახილველ გამოფენაზე („ვარდნის საშიშროება“) ეს აზრი ერთგვარად გრძელდება, იცვლის რაკურსს და ღრმავდება კიდევ. აქ ეს იდეა, კოლონებით შექმნილი მისტიკური გარემოს ნაცვლად, ადამიანთა ყოფაშია შემოტანილი. აქ ობიექტების სახით წარმოდგენილი სრულიად ბანალური ყოფითი ნივთები ქცეულან მთავარ „მოქმედ გმირებად“, მაგრამ ისევე, როგორც დღეს სიტყვებს აქვთ დაკარგული მნიშვნელობა, ამ „გმი-რებსაც“ დაუკარგავთ საკუთარი ფუნქცია: პარალონის კარი ვერ აცალკევებს სივრცეებს, სკამი თუ სავარძელი ვერ ზიდავს ადამიანის სხეულს, კიბეს ვერ აგვყავართ ზემოთ და ა.შ. ერთი ძალზე საინტერესო ობიექტია პარალონისაგან დამზადებული – გაშლილი მუყაოს ყუთი, რომელიც რატომღაც კედელზე კიდა, როგორც ხელოვნების ნიმუში. ამ ობიექტის ფორმა იმგვარია, შესაძლოა, ადამიანს ჯვართან გაუჩნდეს ასოციაცია, რაც რწმე-

სტში ორი ან მეტი ტექსტის უბრალო „თანაარსებობა“ (ციტატა, ალუზია, პლაგიატი და სხვ.); 2. პარატექსტუალობა, როგორც ტექსტის მიმართება საკუთარ სათაურთან, ეპიგრაფთან, ბოლოსტყვაობასთან და ა.შ.; 3. მეტატექსტუალობა, როგორც კომენტარი და ხშირად კრიტიკული მითითება წინარეტექსტზე (დედანზე) 4. ჰიპერტექსტუალობა, როგორც ირონიული პაროდირება ერთი ტექსტისა მეორე ტექსტში; 5. არქიტექსტუალობა, რომელიც გააზრებულია როგორც ტექსტებს შორის უანრობრივი კავშირი. იხ.: Genette G. Palimpsestes, 1982.

8 კლდიაშვილი, წარსული, 2021, გვ., 243-256.

ნისა და რელიგიური ინსტიტუციების სფეროში გადაგვამისამართებს და ეს უცნაურად დეფორმირებული „ჯვარი“ იმ წილში არსებულ სიმრუდესა და კრიზისზე მიგვანიშნებს.

ამგვარად, საგამოფენო სივრცეში ადამიანისათვის ჩვეული ნივთებით შექმნილია სრულიად უჩვეულო გარემო. ნივთებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ბუნებრივად გამოიყურება, დაკარგული აქვთ გამოყენებითი ფუნქცია, რაც უპირველესად რბილი მასალითაა განპირობებული. ამ შემთხვევაში მთავარი სახვითი საშუალება არის არა ტრადიციული ელემენტები და ხერხები, როგორებიცაა ობიექტების ფორმა, მათი კომპოზიციური სტრუქტურა ან ფერი, არამედ თავად მასალა, მისი ფაქტურული თვისება – მოჩვენებითი სიმყარე და რეალურად კი – სირბილე და მოქნილობა. ამგვარად, არტისტი ამეტყველებს თავად მასალას და მისი საშუალებით გვიცხადებს საზრისს.

ფორმის, ფერის და სხვა სახვითი საშუალებების მაქსიმალური ლაკონიზმი და სიძუნწე წინა პლანზე წამოსწევს მასალის როლს, სწორედ მასალა იქცევა აქ ნიშნად და ეს ხდება იმიტომ, რომ არტისტს ვიზუალური ხელოვნების სამყაროში შემოაქვს ტაქტილური აღქმის მომენტი. ადამიანი არა მხოლოდ მხერით, ვიზუალურად ერთვება ობიექტების აღქმაში, არამედ – საკუთარი სხეულითაც, იგი მსუბუქი და მოქნილი მასალის გამო თითქოს ფიზიკურად გრძნობს ობიექტების სირბილეს. აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე მნახველები ხშირად ხელით ეხებოდნენ ობიექტებს, რომლებიც თითის მსუბუქად მიდებისთანავე იწყებდნენ ვიბრირებას, რაც მნახველში არამდგრადობის, მერყეობის განცდას ბადებდა, თითქოს მას მიწა ეცლებოდა ფეხქვეშ. ეს თანამედროვე ადამიანის არასტაბილური ყოფის ერთგვარი მეტაფორაა, ყოფისა, რომელშიც აღარ დარჩა მყარი ინსტიტუციური თუ მორალურ-ზნეობრივი საყრდენები არც ერთ სფეროში: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ ყოფითში. თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული ე.წ. „მოქნილობა“, რომელიც ხშირად უპრინციპობასთანაა წილნაყარი და პრაგმატიზმად საღდება, პირველ რიგში, იმ ღირებულებათა დევალვაციაზე მიგვანიშნებს, რომლებიც პოსტმოდერნისტული პლურალიზმის სირბილემ და მოქნილობამ

და ამ გზით „სხვადასხვა პატარ-პატარა სიმართლებებისა და ტემპარიტების“ დამკვიდრებამ ჩაყლაპა. ეს კრიტიკული რეფლექსიაა რეალობაზე, ადამიანთა საზოგადოებაში გამქრალ საკაცობრიო ღირებულებებზე. თუმცა... ამ ექსპოზიციის მიხედვით შეიძლება სიმყარის პოვნა. აქ გვხვდება ორი პატარა თეთრი კერამიკული ბურთულა: ერთი მაგიდის დატალღულ ზედაპირზე დევს, მეორე კი ჯადის რეპლიკის ერთერთ „თაროზე“ შეუცურებია არტისტს. ეს თითქოს ის „მარცვლებია“, რომლებიც დავიწყებულ სიმყარეს – საუკუნეებში გამოვლილ კაცობრიობის მიერ გამოცდილ და დაკარგულ ღირებულებებს შეგვახსენებს და საიდანაც შემდგომ ეს სიმყარე უნდა გამრავლდეს, განივრცოს და მოიცვას სამყარო. თეთრი თიხითვეა შექმნილი ერთ-ერთ დარბაზში კედელზე დაკიდებული პანო, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ, თავისი თეთრი ფერის გამო, კედლის ზედაპირს ერწყმის და ნაკლებად შესამჩნევია, საზრისობრივი თვალსაზრისით, უდიდესი დატვირთვის მქონეა სწორედ თავისი სიმყარის გამო. თიხის პანოს დახეთქილი ზედაპირი და ალაგ-ალაგ ჩამოფხავებული მონაკვეთები მის სიძველეს უსვამს ხაზს. ამ შემთხვევაშიც მასალას ამეტყველებს არტისტი. თიხით „მეტყველება“ სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ღია ბაგრატიონისათვის. იგი პროფესიით კერამიკოსია და კარგად ფლობს ამ მასალას. თიხა მისთვის საკრალური, პირველქმნილი მასალაა, რომელიც შესაქმისეულ ინფორმაციას ინახავს. იგი ამბობს:

„დღეს მე, როგორც არტისტს, თიხის გარეშე არ წარმომიდგენია ჩემი საქმე. თიხა მეხსიერების ტურტელია. ის თანამედროვე ხელოვნების ტერიტორიაზე თავისი სუბსტანციის დაუსრულებელ მეხსიერებაში ჩადებული ფორმებით ოპერირებს. ჩემი ამოცანაა გავაცოცხლო მისი მეხსიერება“.⁹

ამ გამოფენაზეც არტისტი სწორედ მეხსიერებას აცოცხლებს. იგი თანამედროვე უსიცოცხლო ხელოვნურ პარალონს ბუნებრივ ცოცხალ მასალას – შესაქმისეულ თიხას და თიხის მეხსიერებაში ჩადებულ ათასწლეულებამოვლილ იმ ფასეულობებსა და ღირებულებებს უპირისპირებს, რომლებსაც, თიხისათვის ფორმის მინიჭებისას, ძველი ოსტატები მასში დებდნენ. თიხაც, როგორც პარალონი, ღია ბაგრატი-

9 გაბელაია, სამყარო, ET_ , 2022.

ონის ხელში მთავარ სამეტყველო საშუალებად, ერთგვარ ნიშნად იქცევა. და თუ არტისტი რბილ პარალონს თანამედროვე ეპოქაში გაბატონებული არამდგრადობის, მერყეობის, უპრინციპობასთან წილნაცარი უღირებულებო მოქნილობისა და ტყუილის, ერთგვარი „ღირებულებითი ამნეზის“ ნიშნად მოიპყრება, მყარი თიხა მისთვის კაცობრიობის საგანძურში დავანებულ-დაძველებული, თითქოს ყავლგასული ფასეულობების შემნახველი და შემფარებელი სუბსტანციაა, თავად ამ ფასეულობათა ნიშანია. არტისტი გვაუწყებს, რომ ეს ნიშნები (თიხის პანო და ბურთულები) ჩვენს არამდგრად ყოფაში აქა-იქ მაინც არსე-

ბობს და შეგვასხენებს, თუ სად შეიძლება ადამიანმა იპოვოს ის, რაც დაავიწყდა ან დაკარგა. ამ ექსპოზიციაში, რომელიც თანამედროვე სამყაროს შფოთიან და არამდგრად სიტუაციას, მასში გაბატონებულ ღრმა კრიზისს წარმოაჩენს და კრიზისს აფიქსირებს, თიხის ეს „კუნძულები“ თითქოს წინასწარმეტყველებენ კაცობრიობის „ღირებულებითი მეხსიერების“ გაცოცხლებას. აკი გაგვასხენა კიდევ უკრაინის ომმა ერთი მარტივი, ამჟამად დავიწყებული და ოდესღაც სალი კლდესავით მყარი ჭეშმარიტება: თურმე მომხდური მტრისაგან სამშობლოს დაცვა ლალატი არ ყოფილა, სულაც პირიქით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაბელაია ა. სამყარო როგორც ნიშანი – ინტერვიუ ლია ბაგრატიონთან, ქართული ინტერნეტ ჟურნალი ET_ , <https://at.ge/2020/05/25/lia-bagratiioni/>
- კლდიაშვილი ა. წარსული აწმყოს კონტექსტში, ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული ხელოვნება და თანამედროვეობა, 2021 #1(11), გვ., 243-256.
- Alemani C. Detail of a detail. Domenico Gnoli's portrayals of society through obscure objects and the absent human figure. The exhibition catalogue to the show at Luxembourg & Dayan gallery. New York, 3 May – 14 July, 2018. <http://kvadratinterwoven.com/detail-of-a-detail>
- Barthes R. Texte. // Encyklopaedia universalis. – P., 1973. Vol 15, გვ., 78
- Bew S. Sumptuous Paintings that Fetishize Everyday Italian Life, AnOther, 2022. <https://www.anothermag.com/art-photography/13695/sumptuous-paintings-that-fetishise-everyday-italian-life>
- Genette G. Palimpsestes: Le Literature au second degree. – P. 1982.
- Harper E. The Peculiar perfectionism of Domenico Gnoli. Apollo. The international Art Magazine. 14.01.2022. <https://www.apollo-magazine.com/domenico-gnoli-fondazione-prada-milan/>

ART “FORETELLS”

Lia Bagrationi’s exhibition “Fall Hazard”

Ana Kldiashvili

Keywords: Contemporary Art, Object, Intertextuality, citation, Lia Bagrationi, Domenico Gnoli, Donald Judd

The presentation reviews the exhibition Fall Hazard by contemporary Georgian artist Lia Bagrationi, held in December 2021 in Tbilisi. The conceptual layout of the exhibition reflects the principle of so-called soft sculpture.

Lia Bagrationi’s exposition exposes the typical postmodern tendency of intertextuality. It cites works by other artists (Domenico Gnoli, Donald Judd and even Lia Bagrationi herself). Their works are drawn into the metatextual context created by the artist, where she changes individual details and runs them through her own conceptual prism—consequently, these replicas present themselves as critical commentaries on the original text.

Lia Bagrationi adds a new conceptual layer to the field of soft sculpture. The artist lets the material “speak” for itself, allowing its softness to become the concept of the exhibition. At a glance, we see a very realistic representation of household items made with grey foam rubber (such as chairs, a table, a sofa, and a ladder), which have lost their function; they may exist, but there is no use for them. The softness of the material evokes the feeling of instability, absurdity and fluctuation, hence, a sense of falling, a kind of metaphor reflecting the instability of contemporary human beings and their reality, where there are no more stable institutions or value systems left to rely on, not in political, economic, social, cultural or any other areas of life. These foam rubber objects are metaphors of flexibility prevalent in contemporary society, pointing out the devaluation of values brought about by the pluralism of postmodern softness and flexibility. As a result, values are swallowed up by the established “difference of little truths”. Still, one can also find expressions of solidity in her work: two little spheres and a panel. The exposition reveals an anxiety-ridden and unstable state of the contemporary world and makes a constatation of a crisis. As if the clay “islands” are foretelling the awakening of the lost memory of humanity. Indeed the war in Ukraine has reminded us about the simple, long forgotten and rock-solid truth: it is not treason to defend your country from an invading enemy, on the contrary.

The priority topic of our conference, Culture and Global Challenges, determined my choice of the subject matter for this presentation. Indeed, the Fall Hazard solo exhibit by Lia Bagrationi, held at Artarea Gallery in December 2021, is a direct response to the challenges and problems of the contemporary world, a critical reflection of our reality referencing the crisis of contemporaneity.

The visitors of the show suddenly find themselves in a white exhibition hall surrounded by dark grey objects: representations of everyday household items we use on a daily basis, such as chairs, a table, a sofa, a chandelier, a ladder, a door, bookshelves and so on. These lead-colored objects, with their extremely plain and laconic, angular, rigid forms and uniform color, create an

